**საქართველოს**
**სახალხო დამცველი**
**PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)**
**OF GEORGIA**

დავით აღმაშენებლის გამზირი **N80**
**0102** თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
**www.ombudsman.ge**
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

**18 ნოე 2024 წ.**

KA000048172161424

№ **2024/6483**

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ბატონ ვახტანგ გომელაურს

**წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა**

**ადმინისტრაციულ დაკავებაზე სტატისტიკური მონაცემების დამუშავებასადა გამოქვეყნებასთან დაკავშირებით**

*შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.*

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა ა(ა)იპ ,,სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ N2342/24 განცხადება, რომელშიც აღნიშნულია რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 13.02.2024 წლის N MIA 724 00437372 წერილით ორგანიზაციას კანონშეუსაბამოდ არ მიაწოდა 2024 წლის 12 თებერვლის Nგ01/49 წერილით მოთხოვნილი ინფორმაცია 2020-2023 წლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლის საფუძველზე დაკავებულ პირთა რაოდენობის, მათ შორის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისთვის (წლების მიხედვით ცალ-ცალკე). სამინისტროს ამავე წერილში აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ფორმით სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას არ ახორციელებდა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გამოვლენილი სამართალდარღვევების და სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა რაოდენობის შესახებ სტატისტიკური მონაცემებს განსაზღვრული პერიოდულობით აქვეყნდებდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

განმცხადებელი მიუთითებს, რომ სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით არ დგინდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისთვის დაკავებულ პირთა რაოდენობა, ვინაიდან ყველა დაკავებული პირი არ თავსდება დროებითი მოთავსების იზოლატორში. ასევე, რაოდენობრივი მონაცემების გარეშე რთულია დაკავების/ დაკავების ვადის საჭიროების გარეშე გახანგრძლივების პრობლემების მასშტაბების შეფასება.

**აპარატის მიერ საკითხის შესწავლა:**

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2024 წლის 20 მაისის N2024/1199 წერილით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების მიერ რა ფორმით აღირიცხებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლის საფუძველზე დაკავებული პირის

შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ დაკავების შესახებ დგებოდა ოქმი ან სხვა დოკუმენტი, მონაცემები პირის დაკავების ფაქტის და შესაბამისი საფუძვლის შესახებ სად და რა ფორმით აისახებოდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის N MIA 0 24 01591355 წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 270-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1 მარტის № 271 ბრძანების თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი და საქმის განმხილველი ორგანოები ვალდებული არიან ამ კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენიდან ან/და დადგენილების გამოტანიდან 10 დღის ვადაში აცნობონ სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს (ერთიან საინფორმაციო ბანკს).

**„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1 მარტის №271 ბრძანების დანართის ფორმები, რომლითაც ერთიან საინფორმაციო ბანკს მიეწოდება ინფორმაცია/ შეტყობინება სხვადასხვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ იძლევა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მხრიდან გამოყენებული ნებისმიერი სახის ღონისძიების იდენტიფიცირების საშუალებას.**

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი გაეცნო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს, მათ შორის, ინფორმაციას რომელიც შეეხება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებულ მონაცემებს და ირკვევა, რომ საჯაროდ გამოქვეყნებულია კვარტალური ინფორმაცია სხვადასხვა სამართალდარღვევის ჩამდენი პირების რაოდენობის შესახებ, მათ შორის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისს 166-ე და 173-ე მუხლების დამრღვევ პირთა რაოდენობრივი მონაცემები (სამართალდამრღვევი პირის ასაკის, სქესის და რეგიონის მითითებით), ასევე მონაცემები მითითებული სამართალდარღვევის/სამართალდარღვევების ჩადენისთვის იზოლატორში მოთავსებულ პირთა კვარტალური მონაცემები. თუმცა **საჯაროდ განთავსებული სტატისტიკა არ იძლევა ინფორმაციას და ცხადად არ მიჯნავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისთვის კონკრეტულად რამდენ შემთხვევაში იქნა გამოყენებული ადმინისტრაციული დაკავება** - **<u>როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წამოების უზრუნველყოფის ზომა და რომელ დარღვევებთან მიმართებით</u> და რამდენ შემთხვევაში იქნა გამოყენებული ადმინისტრაციული პატიმრობა. ამავე დროს საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის მიერ წლების განმავლობაში შესწავლილი არაერთი საქმის ფარგლებში დადგინდა, რომ დაკავებულ პირთა ნაწილის განთავსება საერთოდ არ ხდება დროებითი მოთავსების იზოლატორში და განსაზღვრული სამართლებრივი პროცედურების შემდეგ, ხდება მათი გათავისუფლება ხელწერილის საფუძველზე.**

**სახალხო დამცველის შეფასება:**

მოგეხსენებათ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლი ადგენს ადმინისტრაციული დაკავების წესს, მათ შორის, ადგენს დაკავების განმახორციელებელი პირის მიერ დაკავების შესახებ ადმინისტრაციული დაკავების ოქმის შედგენის ვალდებულებას და აღნიშნულ ოქმში შესატან აუცილებელ მონაცემებს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 270-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიან საინფორმაციო ბანკში დაცული მონაცემები მუშავდება ადმინისტრაციული სახდელის დადების, აგრეთვე ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის, პოლიციის პრევენციული, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო საქმიანობის, სარეგისტრაციო/სანებართვო საქმიანობის, მართლმსაჯულების განხორციელების, ადამიანური რესურსების მართვისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ლეგიტიმური მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიან საინფორმაციო ბანკში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, შენახვისა და დამუშავების წესს დაინტერესებულ სამინისტროებთან შეთანხმებით ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის შემდგენ და საქმის განმხილველი ორგანოებს დაკისრებული აქვთ ვალდებულება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენიდან ან/და დადგენილების გამოტანიდან 10 დღის ვადაში ინფორმაცია აცნობონ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს (ერთიან საინფორმაციო ბანკს).

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1 მარტის №271 ბრძანების მე-4 მუხლის თანახმად, **ერთიან საინფორმაციო ბანკში აღრიცხვას ექვემდებარება ყველა სახის**

**ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტით.** ამავე ინსტრუქციის მე-2 მუხლში მითითებულია, რომ ერთიან საინფორმაციო ბანკში თავმოყრილი მონაცემები, გარდა შესაბამისი სახდელის შეფარდების მიზნებისა, მუშავდება ანალიზზე დაფუძნებული პოლიციის, პოლიციის პრევენციული, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო საქმიანობის, ადამიანური რესურსების მართვის, სარეგისტრაციო/სანებართვო საქმიანობის განხორციელებისა და სხვა ლეგიტიმური მიზნების უზრუნველსაყოფად. ერთიანი საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირება ეხმარება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამომვლენ და საქმის განმხილველ ორგანოებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღრიცხვისა და პასუხისმგებლობის ზომების კანონიერად და ეფექტურად გამოყენების საქმეში.

**განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ირკვევა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის განსაკუთრებულ ძალისხმევას არ საჭიროებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის** 245-ე **დაკავების, როგორც უზრუნველყოფის ზომის რაოდენობის სტატისტიკური მონაცემების წარმოება და გამოქვეყნება, მათ შორის, კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლის დარღვევისთვის შემთხვევაში გამოყენებისათვის, ვინაიდან ერთიან საინფორმაციო ბანკში ისედაც თავს იყრის სამართალდარღვევის ოქმების მონაცემები და დეტალურად მუშავდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მხრიდან.**

**საქართველოს სახალხო დამცველი ადმინისტრაციული დაკავების კანონიერებასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე წლებია მიუთითებს საპარლამენტო ანგარიშებში და აღნიშნავს, დაკავებების მავნე პრაქტიკა სხვადასხვა მშვიდობიანი შეკრების მონაწილეთა მიმართ გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული წვრილმანი ხულიგნობისა და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობის საფუძვლით. მსგავსი დაკავებები უმეტესად ვერ პასუხობს აუცილებლობის მოთხოვნას და შეკრების თავისუფლებაში დაუსაბუთებელი ჩარევის სახეს იღებს.** მშვიდობიანი შეკრების მონაწილეთა დაკავებებს, ხშირ შემთხვევაში არსებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მთლიანი შეკრების მიმდინარეობაზეც. ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით აღნიშნული საკითხის შეფასებისათვის, მათ შორის, აუცილებელია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული დაკავებების ღონისძიების გამოყენების შესახებ მოხდეს სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების წარმოება და გამოქვეყნება.

**დასკვნა:**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ვინაიდან ადმინისტრაციული დაკავება ინტენსიური მზღუდავი ღონისძიებაა და წლებია პრობლემურია აღნიშნული ღონისძიების მშვიდობიანი შეკრების მონაწილეთა მიმართ გამოყენების კანონიერება, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების სათანადო უზრუნველსაყოფად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ წინადადებით:

**აწარმოოთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული დაკავების გამოყენების სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემები (მათ შორის 166-ე და 173-ე მუხლის დარღვევის ჩამდენ პირთა დაკავების ფაქტების ამსახველი სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემები); ამავე დროს სტატისტიკური მონაცემების დამუშავება ისე უნდა წარიმართოს რომ, ასევე, ირკვეოდეს იმ დაკავებულ პირთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, რომლებიც არ მოუთავსებიათ დროებითი მოთავსების იზოლატორებში; ამასთან, გთხოვთ, დამუშავებული ინფორმაცია/სტატისტიკური მონაცემები კვარტალურად გამოაქვეყნოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.**

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების თაობაზე, გთხოვთ, გვაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

საქართველოს სახალხო დამცველი ხელმოწერილია/შტამპდასმულია ელექტრონულად ლევან იოსელიანი